ა(ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი"-ს ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ -ს სრულყოფილად ჩატარების მიზნით შექმნილი საორგანიზაციო ჯგუფის სხდომის ოქმი

N2

ქ. ამბროლაური **17.10.2025 წელი**

ა(ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი"-ს ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ -ს სრულყოფილად ჩატარების მიზნით შექმნილი საორგანიზაციო ჯგუფის სხდომას უძღვებოდა – ა(ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრის" დირექტორი თამაზ დაუშვილი - საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი.
სხდომას ესწრებოდნენ საორგანიზაციო ჯგუფის წევრები: გურამ გორდეზიანი, გულნარა საღინაძე, ტანია ენუქიძე, მარინა მახალდიანი, მარინა შაუთიძე, ია შარაბიძე, ნატალია რაზმაძე, თამარ ობოლაშვილი, თამარ გოგოლაძე.

დღის წესრიგი:

საორგანიზაციო ჯგუფის მიერ კომპეტენტური ჟიურის შექმნა და ფუნქცია-მოვალეობების განსაზღვრა.

მომხსენებელი: თამაზ დაუშვილი

მოისმინეს: ა(ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრის" დირექტორმა თამაზ დაუშვილმა ჯგუფის წევრებს წარუდგინა ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“-ს პროგრამის და დებულების თანახმად პროექტის ავტორის, გურამ გორდეზიანის მიერ ჟიურის წევრების დასახელების საკითხი. კონკურსი „მწიგნობარი 2025“ -ს სრულყოფილად ჩატარების მიზნით საორგანიზაციო ჯგუფის წევრების მიერ მხარდაჭერილი იქნა ჟიურის წევრების ჩამონათვალი. გადანაწილდა მათი უფლება-მოვალეობები. ასევე თამაზ დაუშვილმა წამოაყენა საკითხი, პროექტთან დაკავშირებით ლიბერთი ბანკის სათაო ოფისის ხელმძღვანელების მიერ – ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ პროექტით დაინტერესების შესახებ.

ასევე პროექტთან დაკავშირებული დამატებითი სამუშაოების წარმოება დაევალოს საბიბლიოთეკო სამსახურის უფროს ბიბლიოთეკარს მედიკო სულაძეს და საბავშვო ბიბლიოთეკის უფროს სპეციალისტს მანანა ლომთაძეს - პროექტით დაინტერესებულ მკითხველთა მომსახურეობისათვის დამატებითი არასამუშაო დროის გამოყენების გამო.

აგრეთვე საჭიროა პროექტის სრულყოფილად განხორციელებისათვის პროექტის თანაორგანიზატორად დამხმარე ამოცანათა შესასრულებლად თანამშრომლად აყვანილი იქნას ლამარა ბოჭორიშვილი - რომლსაც აქვს პროგრამა მწიგნობარაზე მუშობის მრავალწლიანი გამოცდილება. საჭიროების შემთხვევაში მას შეუძლია სრულად წარუძღვეს კონკურსს.

აზრი გამოთქვა: საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილემ გურამ გორდეზიანმა აღნიშნა რომ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი''-ს ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ -ს სრულყოფილად ჩატარების მიზნით მნიშვნელოვანია საორგანიზაციო ჯგუფის წევრების თანხმობით ჟიურის წევრების არჩვა მათი ფუნქციების გადანაწილება.
საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.
დაადგინეს:

ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი''-ს ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ -ს სრულყოფილად ჩატარების მიზნით განისაზღვრა ჟიური შემდეგი შემადგენლობით:

1) გიორგი ხორბალაძე - ფილოლოგიის დოქტორი, გორის უნივერსიტეტის პროფესორი, პოეტი.

2) თამარ გელიტაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

3) გიორგი საბანაძე - ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის გამგე - ისტორიკოსი

4) ბადრი სულაძე - ეთნოგრაფი, პოეტი.

5) ქეთევან დოლიძე - ფილოლოგი. პოეტი

6) გიორგი არაბული - დრამატურგი, თეატრისა და კინოს რეჟისორი, პოეტი- ნოველისტი

7) ნინო გედენიძე - ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურული პროგრამების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ზემოთ ჩამოთვლილ ჟიურის წევრებს დაევალოთ ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი''-ს ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ლიტერატურული კონკურსი „მწიგნობარი 2025“ - ში მონაწილე მოსწავლეთა ნამუშევრების შესწავლა და შეფასება.

აზრი გამოთქვა: საორგანიზაციო ჯგუფის წევრმა გულნარა საღინაძემ აღნიშნა, რომ საბიბლიოთეკო სამსახურის იმ თანამშრომლებს , რომელთაც პროექტის ფარგლებში დამატებითი სამუშაოს შესრულება დაეკისრათ, შესაძლებლობის ფარგლებში გაიცეს შესაბამისი ანაზრაურება.

დაადგინეს:
სამუშაო ჯგუფის წევრებმა რეკომენდაციით მიმართეს ა(ა)იპ კულტურის ცენტრის დირექტორს თამაზ დაუშვილს. რადგან, საბიბლიოთეკო სამსახურის თანამშრომლებს სამუსაო აღწერილობაში გაწერილი არა აქვთ დამატებითი სამუშაოს შესრულებისთვის ანაზღაურების გაცემა, საბიბლიოთეკო სამსახურის უფროს ბიბლიოთეკარს- მედიკო სულაძეს და საბავშვო ბიბლიოთეკის უფროს სპეციალისტს -მანანა ლომთაძეს მიეცეთ ანაზღაურება 300(სამასი)ლარის ოდენობ

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

საორგანიზაციო ჯგუფის ხელმძღვანელი: თამაზ დაუშვილი

ხელმძღვანელის მოადგილე: გურამ გორდეზიანი

საორგანიზაციო ჯგუფის წევრები: გულნარა საღინაძე

ტანია ენუქიძე

მარინა მახალდიანი

მარინა შაუთიძე

ნატალია რაზმაძე,

ია შარაბიძე

თამარ ობოლაშვილი

თამარ გოგოლაძე